

კახეთის 2018 წლის თასი ფიგურულ სლალომში

ტექნიკური მოთხოვნები

1. დასაშვები ავტომობილები

1.1 კახეთი 2018 წლის თასი ფიგურულ სლალომში ტარდება სამოყვარულო კლასში.

1.2 სამოყვარულო კატეგორიაში მონაწილე ავტომობილი უნდა წარმოადგენდეს მწარმოებლის მიერ სერიულად წარმოებულ მოდელს და აღჭურვილი უნდა იყოს ქარხნული, ან ისეთი დეტალებით, რომელიც სერიულად იწარმოებოდა კონკრეტული მოდელის ავტომობილისთვის;

1.3 ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე.

2. დაუშვებელი ავტომობილები

2.1 შეჯიბრზე არ დაიშვება ავტომობილი რომელსაც ხელოვნურად შეცვლილი აქვს კონსტრუქცია, დამსუბუქების მიზნით მოსნილი აქვს ბამპერები, სანათი ხელსაწყოები, ამოღებული აქვს ავტომობილის სალონი, კარების დამცავები და მინის ამწევი მექანიზმები

2.2 შეჯიბრზე არ დაიშვება ავტომობილი რომელსაც ხელოვნურად გაზრდილი აქვს მოხვევის კუთხე და სტანდარტული ხელის მუხრუჭის ნაცვლად აღჭურვილია ჰიდრო მუხრუჭით, ასეთი ავტომობილი ავტომატურად მოხვდება პროფ-კლასში.

3. საბურავი

შეჯიბრზე არ დაიშვება სლიკის და ნახევრად სლიკის ტიპის საბურავი.